06 MAI
RUGĂCIUNEA
SF.DREPT IOV

სავედრებელი ლოცვა

ჰოი, წმიდაო სათნომყოფელო ღმრთისაო იობ, მართალო და მოწყალეო! შიშუელთა შემმოსელო, უცხოთა შემწყნარებელო, და გლახაკთა გამომზრდელო, ჭირვეულთა ნუგეშინისმცემელო და ყოველთა განწირულთა და შენდამი მოლტოლვილთა შესავედრებელო ზღუდეო და მტკიცეო საფარველო!

ჰოი, მრავალვნებათა დამთმენელო, მართალო იობ, კეთილგონიერად ცხოვნდებოდი რაი ქუეყანასა ზედა, გარე-მოგადგეს ბოროტნი ეგე განსაცდელნი მანქანებითა ეშმაკისაითა და მიშუებითა ღმრთისაითა, და შენცა თავს-ისხენ რაი ვნებანი იგი, არა ხოლო თუ ამას საწუთროსა მოიღე მოსაგებელი მოლოდებისა შენისაი, არამედ ცათა შინა მოიგე გვირგვინი სიმართლისაი, რაიცა განუმზადა უფალმან ყოველთა მოყუარეთა მისთა. აწ ჩუენცა შეგვავედრე სახიერებასა მისსა, და გვითხოვე მოტევებაი ცოდვათაი, რაითა არა განგვსჯოს უსჯულოებათაებრ ჩუენთა, და გვიხსნნეს ყოველთა უძლურებათაგან სულიერთა და ხორციელთაისა. მრავალშემძლებელითა ძალითა შენითა განაძლიერე უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი მამაი ჩუენი ილია და ყოვლად-

სამღდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, წინამძღუარნი მონასტერთანი, მწყემსნი და მოძღუარნი, მოღუაწენი და აღმსარებელნი, მონაზონთა სიმრავლენი და ყოველნი ზიარნი მართლმადიდებელისა ეკლესიისანი; განანათლენ ქრისტეისმოყუარე მთავრობაი და მხედრობაი მისი; დაიცვენ კეთილისმყოფელნი ჩუენნი და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტეანენი.

ჰოი, დიდო მართალო ძველისა აღთქუმისაო, მრავალვნებულო იობ, რომელმან დაითმინე ურიცხუნი მწუხარებანი და აჩვენე სრული სასოებაი საღმრთოისა განგებულებისაი, შეისმინე აწ ვედრებაი ჩუენი, და შეგვეწიე წინაშე ღმრთისა, რაითა დაგვიცვას სიყმილისაგან, სრვისა, რღვნისა, ცეცხლისა, მახვილისა, ზედა-დასხმათაგან მტერთასა და ძმათა-შორის ბრძოლისაგან, და მოგვმადლოს ნაყოფიერებაი მიწისაი, ქუეყნისა მშვიდობაი, და ქრისტეანული აღსასრული ცხორებისა ჩუენისაი, რაითა მივიწივნეთ სავანეთა მათ მიმართ საწადელთა, ზეცისა სასუფეველსა, და შენთანა ვადიდებდეთ ყოვლადწმიდასა სამებასა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.